# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 აპრილი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 68 (10 237) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის ჭადრაკში

# საზეიმოდ გაიხსნა

**გუშინ** თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს 46-ე ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის. საღამო გახსნა დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს და შეჯიბრების მონაწილეთ მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვაჟა გურგენიძე და გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი. შეჯიბრების მონაწილეთა სახელით გამოვიდა დიდოსტატი ნანა ალექსანდრია.

შემდეგ ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ლილი წეროძემ მონაწილეებს გააცნო შეჯიბრების რეგლამენტი, რის შემდეგაც გაიმართა კენჭისყრა. აი მისი შედეგებიც:

1. საერთაშორისო დიდოსტატი **ნანა იოსელიანი** (რეიტინგი — 2320), 2. საერთაშორისო ოსტატი **თამარ ხუგაშვილი** (2198), 3. საერთაშორისო დიდოსტატი **ნონა გაფრინდაშვილი** (2424), 4. ოსტატობის კანდიდატი **ლია სადუნიშვილი** (2126), 5. ოსტატობის კანდიდატი **ხოფიკო ნიკოლაძე** (2052), 6. სპორტის ოსტატი **ქეთევან მელაშვილი** (2144), 7. საერთაშორისო ოსტატი **ქეთევან კახიანი** (2348), 8. სპორტის ოსტატი **ციური კობაიძე** (2142), 9. საერთაშორისო დიდოსტატი **ნანა ალექსანდრია** (2320), 10. საერთაშორისო დიდოსტატი **ქეთევან არახამია** (2340), 11. საერთაშორისო ოსტატი **ციალა ქასოშვილი** (2176), 12. ფიდე-ს ოსტატი **თეა ლანჩავა** (2104), 13. ოსტატობის კანდიდატი **ინგა ხურცილავა** (2050), 14. საერთაშორისო დიდოსტატი **ნინო გურიელი** (2341).

ამრიგად, დღეს I ტურში ერთმანეთს შეხვდებიან:

იოსელიანი — გურიელი
ხუგაშვილი — ხურცილავა
გაფრინდაშვილი — ლანჩავა
სადუნიშვილი — ქასოშვილი
ნიკოლაძე — არახამია
მელაშვილი — ალექსანდრია
კახიანი — კობაიძე

ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზატორები არიან საქართველოს სპორტსახკომი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, ხოლო სპონსორები — რძის მრეწველობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქრძე" (გენერალური დირექტორი დ. დათიშვილი), მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო საკავშირო ინსტიტუტი (დირექტორი, პროფესორი გ. მინდელი), თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკა (დირექტორი ოლიმპიური ჩემპიონი რ. რურუა).

* * *

შეჯიბრების დასაწყისი 15 საათსა და 30 წუთზე.

# გია ორჯონიკიძე — უძლიერესი

## თურქეთის თოვლიან ტრასებზე

**საქართველოს** სამთომოთხილამურეები ერზერუმში იმყოფებოდნენ, და მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო შეჯიბრებაში — „პალანდოკენის თასის" გათამაშების ერთ-ერთ ეტაპში. ასპარეზობაზე მიწვეული იყვნენ იუგოსლავიის, ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების სამთომოთხილამურენი, მაგრამ ევროპაში პოლიტიკური დაძაბულობის გამო ზემოხსენებული გუნდები ვერ ეწვივნენ ერზერუმს. ისე რომ, სტარტზე სამი ნაკრები გამოვიდა — თურქეთის, ირანისა და საქართველოს.

— ჩვენს გუნდში ექვსი სპორტსმენი შედიოდა — გია ორჯონიკიძე, ლევან აბრამიშვილი, მალხაზ უდესიანი, მამუკა დვალიშვილი, გოჩა ჭელიძე და პეტრე ცისკარიშვილი, — გვითხრა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს სპორტსახკომის ზამთრის სპორტის სახეობათა განყოფილების უფროსმა ფერზენქს ნავერიანმა. ერზერუმი ბათუმისხელა ქალაქია, ამ შუა გაზაფხულზე ასე უხვად დათოვლილი კალანდოკენის მთა სულ ოთხ კილომეტრზეა დაშორებული ქალაქიდან. მასპინძლები მეტად გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს „გურჯისტანიდან" (გუნდს ახლდა ორი მწვრთნელიც — გერა აბრამიშვილი და ლეონიდ ბანდური) — მოგვათავსეს კეთილმოწყობილ სასტუმროში, რომელიც, ისევე როგორც სხვა სასტუმროები და საბაგირო გზები, ცნობილი ავსტრიული ფირმის „დოპელმაიერის" მიერაა აშენებული. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ თურქეთის სამთო-სათხილამურო სპორტის მთავარი ცენტრი ბურსას მთებში მდებარეობს, სადაც წლების მანძილზე დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები ტარდება. როგორც მასპინძლებმა გვითხრეს, ბურსას მთებში თურმე 200 ათასი ქართველი ცხოვრობს. სხვათა შორის, თურქეთში წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ საქართველოში სამთომოთხილამურენიც გვყავს. მას შემდეგ, რაც ჩვენმა სპორტსმენებმა უკვე პირველი წვრთნის დროს ტოლს არ დაუდეს მეტოქეებს — სტარტზე კი კალგარის თეთრი ოლიმპიადის ხუთი მონაწილე გამოვიდა — თურქებმა და ირანელებმა სურვილი გამოთქვეს მჭიდრო კონტაქტები დაამყარონ ჩვენს სპორტსმენებთან, რეგულარულად გაცვალონ ერთმანეთთან სამთომოთხილამურეთა დელეგაციები შეჯიბრებებისა და ვარჯიშისათვის.

... ორმოცდაათამდე სპორტსმენმა, რომელთაგან ნახევარი მასპინძელთა გუნდის წევრი იყო, მიიღო მონაწილეობა ამ საინტერესო შეჯიბრებაში. პირველ დღეს 2950 მეტრ სიმაღლიდან (სხვაობა 250 მეტრი, 45 კარი) მიეცა სტარტი გიგანტურ სლალომს. ჩვენი გუნდის ლიდერმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომანტმა, წაღვერელმა სპორტის ოსტატმა გია ორჯონიკიძემ პირველსავე ცდაზე ყველაზე სწრაფად გაიარა დისტანცია — 49,04. მეორე ცდაზე მისი შედეგი ოდნავ უარესი იყო (51,43), მაგრამ ჯამში (100,47) იგი მაინც პირველი იყო და ოქროს მედლით დაჯილდოვდა. მეორე შედეგი ჰქონდა ირანელ სასან მანდავიანს (100,65), მესამე — მასპინძელს — საბე ჰამამგიოღლუს (101,38). კარგად იასპარეზა ჩვენმა ახალგაზრდა ბაკურიანელმა მოთხილამურემ ლევან აბრამიშვილმაც. იგი მეოთხე ადგილზე გავიდა (102,14). კარგად გაიარეს პირველი ცდა გამოცდილმა მესტიელმა სპორტსმენმა მალხაზ უდესიანმა და 16 წლის თბილისელმა მოსწავლემ პეტრე ცისკარიშვილმა (იგი ჩვენს თარჯიმნობასაც ასრულებდა). მათ შესაბამისად მეხუთე და მესამე შედეგი ჰქონდათ, მაგრამ ტრასა მეორედ უხეიროდ გაიარეს. შემდეგ დღეს ჩატარდა შეჯიბრება სპეციალურ სლალომში. ამინდი გაჭირვეულდა (ნისლი, ქარი), სტარტის გადატანას აპირებდნენ, მაგრამ „სავიზიტო" დროში ველარ ვეტეოდით და ასპარეზობა მაინც ჩატარდა. უნდა ითქვას, რომ ამ დღეს ორმოც მონაწილეთაგან მხოლოდ ხუთმა დაამთავრა ტრასა. სამწუხაროდ, შეჯიბრებას ჩვენი ექსივე მოთხილამურე გამოეთიშა.

ამჟამად ჩვენი სამთომოთხილამურეები ქვეყნის ზამთრის სპარტაკიადის ბოლო სტარტისათვის ემზადებიან ტერსკოლში. როგორც ცნობილია, სასპარტაკიადო შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტის ორ სახეობაში — სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში კიროვსკში გაიმართება აპრილის დამლევს, რაც საბოლოოდ შეაჯამებს ზამთრის VII სპარტაკიადის შედეგებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი სამთომოთხილამურენი, განსაკუთრებით კი გია ორჯონიკიძე, წარმატებით გამოვლენ ზამთრის სეზონის უკანასკნელ ასპარეზობაში.

ესაუბრა **ოთარ ოთარაშვილი**.

• • •



აი ამ მიდამოებში ჩატარდა სამთომოთხილამურეთა ასპარეზობა თურქეთში.



**სურათზე:** გია ორჯონიკიძე.
ნუგზარ ქარელის ფოტო.

# სპორტული ინტერესის გარდა...

**გუშინწინ,** ღამით თბილისში ჩამოფრინდა საფრანგეთის უნივერსიტეტების მორაგბეთა ნაკრები გუნდი, რომელსაც საქართველოს რაგბის კავშირი მასპინძლობს. ჩვენ შევხვდით სპორტსმენ სტუდენტებს და მათ წარმომადგენლებს — საფრანგეთის ქართველ ემიგრანტებს, წარსულში ცნობილ მორაგბეს, ბატონ გურამ წულაძეს და სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს, 22 წლის მიხეილ ჭავჭავაძეს.

● **როგორ გაჩნდა იდეა თქვენი გუნდის საქართველოში ჩამოსვლისა?**

— იდეა მიხეილს ეკუთვნის. ფრანგებმა საქართველოს შესახებ კარგა ხანი არაფერი იცოდნენ. 9 აპრილის შემდეგ ინფორმაციაც მეტი იყო და საქართველოთი დაინტერესებაც. მიშას სურდა თავისი მეგობრებისათვის გაეცნო თავისი ისტორიული სამშობლო, ეჩვენებინა მისი ღირსშესანიშნაობანი: შემდეგ უკვე მორაგბეთა ნაკრებზე შეჩერდა არჩევანი.

● **სტუმრები ძირითადად სტუდენტები არიან. ვინ დააფინანსა თქვენი ჩამოსვლა?**

— მართალი ბრძანდებით. გუნდში ძირითადად პარიზის უნივერსიტეტების იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტები არიან. ქართველმა მორაგბეებმა დაგვპატიჟეს. პარიზიდან მოსკოვამდე ჩამოსასვლელად კი სპონსორობა იტალიურმა ფირმა „ფიატმა" გაგვიწია.

ისე, სტუდენტთა დაინტერესება იმდენად დიდი იყო, უმრავლესობის დატოვება მოგვიწია. ეს 32 ახალგაზრდა მიშამ შეარჩია, მეორე ვიზიტზე სხვებს წამოვიყვანთ და მათ ვაჩვენებთ ჩვენს სამშობლოს.

● **დღეს უკვე მოასწარით ჯვარისა და სვეტიცხოვლის დათვალიერება. ბიჭებს მეც შევატყვე ინტერესი. თუ შეიძლება გამიწიეთ თარჯიმნობა და ჰკითხეთ, რა დარჩათ მოსაგონებლად დღევანდელი დღისგან?**

**გრეგორ ლენე:** აღფრთოვანებული ვარ ქართული ეკლესიებით. უკვე შევამჩნიე, როგორი კულტურის და ტრადიციების ხალხია ქართველები.

● **თქვენი თანაგუნდელების უმეტესობა უცოლოა. რას იტყვიან ქართველ გოგონებზე?**

— (იცინიან) ჩამოვედით თუ არა, პირდაპირ ეკლესიებში წაგვიყვანეს. როცა ვნახავთ, შემდეგ გეტყვით.

● **მიშა, ქართველი გოგონა თუ მოგეწონება, რას იზამ, დაუბრუნდები შენს „ფესვებს"?**

— არ ვიცი. ვიცი, რომ იმ გოგონას მოვიპარავ.

● **დაბოლოს, თქვენი ვიზიტის შესახებ...**

— გავმართავთ სამ შეხვედრას: 11 აპრილს ქუთაისში ვეთამაშებით ადგილობრივ „აიას", 13 აპრილს თბილისის უნივერსიტეტის გუნდს, 16-ში საქართველოს მეორე ნაკრებს. ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იქნება ქართველ მორაგბეებთან. საპასუხო ვიზიტს პარიზში სექტემბერ-ოქტომბერში ველით.

ესაუბრა **ინგა ჩახვაშვილი**.

## ტელეტაიპი — მკითხველს

**ტოკიო.** დასავლეთგერმანიის საავტომობილო კონცერნმა „მერსედესმა" გადაწყვიტა რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატებში: მისი პირველივე ცდა შარშან წარმატებით დამთავრდა. ფრანგმა ჟან-ლუი შლესერმა მერსედესის ავტომანქანით C-9-ით მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. წლევანდელი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, რომელიც იაპონიის ქალაქ სუძუკში ჩატარდა შლესერმა კვლავ გამარჯვება მოიპოვა.

**ნიმეგენი.** ჰოლანდიის ამ ქალაქში გამართულ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებას მხოლოდ ერთმა საბჭოთა მოჭიდავემ მიაღწია. 65 კგ წონაში პირველი ჯილდო ჩელიაბინსკელ ვიაჩესლავ შიშკინს ერგო. მისი თანაქალაქელი ოლეგ კარპოვი 60 კგ წონაში მეორე ადგილზე გავიდა.

**ბერნი.** დაშნით მოფარიკავეთა მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი მოიგო ფრანგმა ერიკ სრეცკიმ, რომელმაც ფინალში თანამემამულე ჟან-ფრანსუა დი მარტინო დაამარცხა. ცხრა ეტაპის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ოლივიე ლენგლემ (საფრანგეთი) — 52 ქულა. მას ქულით ჩამორჩება ჟან-მიშელ არლი (საფრანგეთი).

**რუბე.** წლეულს ოთხმოცდამერვედ ჩატარდა პროფესიულ ველოსიპედისტთა ტრადიციული რბოლა პარიზი — რუბე. ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ბელგიელმა ედი პლანკერტმა. 265,5 კილომეტრიანი ტრასა ამ 31 წლის სპორტსმენმა 7:37.02-ში დაფარა.

**ჰელსინკი.** ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები მესამე ჯგუფში ნორვეგიის, ფინეთის, გფრ-ის, ბულგარეთის, ჰოლანდიისა და ისრაელის გუნდებმა მოიპოვეს. ცხრა ფინალისტის ვინაობა, რომელთა შორის არის საბჭოთა კავშირის ნაკრებიც, უფრო ადრე ჩეხოსლოვაკიაში გამართულმა შერჩევითმა ტურნირმა გამოავლინა.

**ბუდაპეშტი.** რაპირისტ ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშებას შვიდი ეტაპის შემდეგ მოსკოველი დმიტრი შევჩენკო ლიდერობს — 56 ქულა. მას 11 ქულით ჩამორჩება დასავლეთგერმანელი ტორსტენ ვაიდნერი.

**პოტსდამი.** მეგობრული არმიების მოცურავეთა ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს გდრ-ის სპორტსმენებმა: მოიპოვეს 18 ოქროს, 13 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი. ტურნირში გამოდიოდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის, ანგოლის, უნგრეთის, გდრ-ის, ჩინეთის და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

# არცთუ უსაფუძვლო იმედები

**ბოლო** წლებში „მკვდარ აუზთა" შორის ხშირად მოვიხსენიებდით ხოლმე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საცურაო აუზს. შარშან ზაფხულში ეს აუზი რეკონსტრუქციის შემდეგ კვლავ ჩადგა მწყობრში. ახლა ბაზას „საჭყუმპალაოც" აქვს, რამაც ცურვის შესწავლის საქმე გააიოლა. ამასთან, ფიზკულტურის ინსტიტუტის აუზში ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში ჩაწერა. აქვე დადიან გამაჯანსაღებელი ჯგუფების წევრები და, რაღა თქმა უნდა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებიც. ასე რომ, ამ აუზზე ახლა დიდ და არც თუ უსაფუძვლო იმედებს ვამყარებთ. ეს დაადასტურა ზაპოროჟიეში გამართულმა ნორჩ წყალბურთელთა საკავშირო ტურნირმა, რომელშიც გამოდიოდნენ 1977-78 წლებში დაბადებული მოზარდები, მათ შორის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის აუზის სპორტული ჯგუფის წევრებიც, რომლებსაც ვიქტორ დოლიძე ავარჯიშებს. თბილისელებმა ირაკლი დონაძემ, გიგი დავითიანმა, გიორგი კოკოშვილმა, ამირან დოლიძემ, როლანდ ხუნდაძემ, ირაკლი ცხაკაიამ, გიორგი გოგავამ, გიორგი ერისთავმა, ოთარ ლომიძემ, ლევან აბრამიშვილმა, დათო ჭუმბურიძემ, დიმა კვანტალიანმა, გიორგი პაპიაშვილმა, თემურ მანაშეროვმა, გიორგი კბილაშვილმა შვიდივე მეტოქე დაამარცხეს და პირველობა მოიპოვეს.



როგორც აუზის დირექტორმა გივი ხუროშვილმა გვითხრა, მათ შეფობას უწევს გაერთიანება „სოლანი" და საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგია", რომელთა დახმარება სპორტული ჯგუფების წევრებს მომავალში უფრო მეტად გამოადგება.

**ავთანდილ ჭყვიშელი.**



**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის აუზი; ნორჩ წყალბურთელთა ერთი ჯგუფი, რომელმაც ზაპოროჟიეში გაიმარჯვა.**

ავტორის ფოტოები.

# თანატოლებში — უძლიერესი

**მწვრთნელ** დავით ჩერქეზიშვილის შეგირდებმა, რომლებიც წყალბურთში 14-14 წლის ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში ასპარეზობდნენ, უძლიერესის სახელი მოიპოვეს. ეს გუნდი მთლიანად ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული. თბილისელებთან ქვეჯგუფში გამოდიოდა მოსკოვის სამი გუნდი და რსფსრ-ის ნაკრები. ჩვენებმა სძლიეს მოსკოვის დინამოელებს — 9:5, „მოსკვიჩს" — 16:2, რსფსრ-ის ნაკრებს — 9:4 და წააგეს მოსკოვის „იუნოსტთან" — 7:9. ნახევარფინალში ქართველმა ჭაბუკებმა მოუგეს მოლდაველებს — 5:4, ფინალში კი კვლავ „იუნოსტს" შეხვდნენ და რევანში აიღეს — 10:5. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა: გ. პეტრიაშვილი, გ. დარსაველიძე, ქ. დარსაველიძე, ვ. ივანოვი, ს. შათაშვილი, ო. მიქაბერიძე, ი. შარაშიძე, ბ. შონია, ზ. გიორგაძე, ჯ. ლომიძე, პ. ორჯონიკიძე, გ. მინესაშვილი, გ. ბირბიჩაძე, დ. ჭიჭინაძე.

# რესპუბლიკის ჩემპიონია... ნაკრები

**15-16 წლის** ჭაბუკები სპორტის ბევრ სახეობაში სიმწიფის კარიბჭესთან დგანან. ვინ არის უძლიერესი საქართველოში ამ ასაკის წყალბურთელთა შორის? პასუხი ამ კითხვაზე უნდა გაეცა საქართველოს ჩემპიონატს, რომელიც ამ დღეებში გაიმართა რუსთავში.

უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისის პირველმა ნაკრებმა გუნდმა (კ. თოდრია, ნ. ასათიანი, გ. ჩივაძე, ვ. ამბოკაძე, თ. გვასალია, მ. დუგლაძე, გ. ტატიშვილი, რ. ტატიშვილი, გ. გვარამაძე, ა. გეგენავა, გ. ლაითაძე, მ. ჯოჯიშვილი, რ. ლიბრაშვილი, მწვრთნელი გ. სეხნიაშვილი).

აქვე დავძენთ, რომ ეს გუნდი ფაქტობრივად საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებია. მეორე ადგილი წილად ხვდათ ქუთაისის წარმომადგენლებს, მესამე — თბილისის მეორე გუნდს. ამ კოლექტივების გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბათუმის, სოხუმისა და რუსთავის გუნდები.



**ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის პირველი გუნდი.**

ა. ყანდიაშვილის ფოტო.

ნარკვევი

# ბიჭო, რეზო, სადა ხარ?

**ტოლები** ვიყავით, საგარეჯოს საშუალო სკოლის მეექვსე კლასში ვსწავლობდით. ერთი სიმაღლისანი, გარეგნობითაც ერთმანეთს ვგავდით. მხოლოდ იმით განვსხვავდებოდით, რომ იმას მარცხენა ყვრიმალზე ჰქონდა შავი ხალი, მე — მარჯვენა თვალის გუგაზე.

— ჩვენი ულელი მოზვერი მოდისო, — იტყოდნენ ხოლმე ბიჭები, როცა სკოლის ეზოში ბურთის სათამაშოდ გავიდოდით. ორივენი მცველები ვიყავით, ის მარცხენა, მე — მარჯვენა. ორივენი კინოთეატრის დირექტორის ვასო ჯანყარაშვილის გუნდში ვთამაშობდით და რკინიგზელი მიშა პეტროვის „სადგურელებს" ვექიშპებოდით. ეს იყო გაუთავებელი ტურნირი. მაშინ რაიონში ჩვენ და მესამეც — სოფელ კაკაბეთის საშუალო სკოლის ფეხბურთელები ვეცილებოდით ერთმანეთს პირველობას და ნიადაგ „გარეჯელები" ვიმარჯვებდით.

საახალწლო არდადეგებზე რეზო თბილისში, ბიძას ესტუმრა და... ახლაც მოდის. მეხსიერებაში ისევ ისეთი ჩამრჩა — გამხდარი, კალიასავით გრძელფეხა, აყლარწული, მუდამ ბურთის მოსაგერიებლად გამზადებული. სხვა ყველაფერი გაბუნდოვნდა, თითქმის წაიშალა, სახე კი, სახე — საულვაშეზე ღინღლწამოშლილი, სიჭაბუკეში ფეხშედგმული, დიდი ბრიალა თვალებით, მარცხენა თვალს ქვემოთ შავი ხალით, ახლაც მკაფიოდ მიდგას თვალწინ.

არდადეგების შემდეგ რეზო ქალაქიდან აღარ დაბრუნებულა. ხმა დაირხა — რეზოს ბიძა მავნებელი ყოფილა, ბინაში თავისი ჯგუფის კრება ჰქონია, რეზო „ატანდაზე" დაუყენებია, შეთქმულები დაუჭერიათ და რეზოც იმათთვის მიუყოლებიათო.

მას შემდეგ კლასის შუა რიგის პირველ მერხზე — რეზოს ადგილზე — აღარავინ დამჯდარა. არ ვიცი, გვეშინოდა, რომ რეზოს „თანამოსაქმედ" არ ჩაგვეთვალეთ თუ ველოდით, პატრონი დაბრუნდება და თავის ადგილზე დაჯდებაო.

მჭედლიაანთ ლევანას სახლი სკოლის პირდაპირ, გზის გადაღმა იდგა, გრძელი აივანი ჰქონდა. ვიცნობდით რეზოს მშობლებს, გაუთხოვარ დეიდას, უმცროს დას — ცაცას. აივანი ჩვენი კლასის ფანჯრებიდან კარგად მოჩანდა. რეზოს ოჯახში გლოვამ დაისადგურა, ქალებმა თალხები ჩაიცვეს და მაშინღა ვირწმუნეთ ჩვენს ამხანაგს მართლაც უბედურება რომ დამართოდა. ძია ლევანა, ღონჯი, ჯმუხი, დაჯაგულწარბებიანი კაცი იყო, ისედაც „გაუცინარ ხელმწიფეს" ეძახდნენ სოფელში და იმ უბედური არდადეგების შემდეგ ხომ მთლად „გატყიურდა", გაშავდა, გაიყინა, სკოლისკენ აღარ იყურებოდა, თუ ანაზდად ქუჩაში შევეფეთებოდით, უცბად გავქვავდებოდით, ენა ჩაგვივარდებოდა — თითქოს ჩვენ ვიყავით დამნაშავე — პატარებს მხოლოდ ამით შეგვეძლო თანაგრძნობის გამოხატვა. ალბათ, იმიტომ უფრო, ელდანაცემი, ისიც „ვერ გვამჩნევდა" ხოლმე — განზრახ განზე გაიხედავდა — ცრემლჩამდგარ თვალებს გვარიდებდა.

ჰაუ, რამდენმა წყალმა ჩაიჩხრიალა მას შემდეგ თვალთხევში, რამდენჯერ აყვავდნენ ატმები მათ ნავენახარში, სადაც ახლა საგარეჯოს სტადიონია, რამდენი რთველობა მოვილიეთ, ჩვენც — რეზოს თანატოლებმა, შემდეგ — ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა.

ვერც ჩვენ გადავრჩით „ცივნიავმიუკარებლები", ბევრ განსაცდელს დავუძვერით ხელიდან, ზოგს პაპა დაუჭირეს, ზოგს მამა, ბიძა, მამიდა თუ დეიდა, ჩვენც ვიწვნიეთ დაკითხვების სუსხი. რეზოს „წაყვანის" მეორე წელიწადს ჩვენი კლასი სათითაოდ გამოგვიძახეს დირექტორის კაბინეტში, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი ტოპეშაშვილი და სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე როინიშვილი დაგვკითხავდნენ — დიდ შესვენებაზე კაკალქვეშ იდექით და იცინოდით, ტარიელა ქურხული — მომღერალ ილიკო ქურხულის ბიჭი, რომ ანეგდოტს გიყვებოდათ, ჩვენც გვიამბეთ, ერთად გავიცინოთო.

— რა არის, მასწ... ანეგდოტი? — თავს „ვიარიფებდით" და პასუხის მაგივრად იქით ვუბრუნებდით კითხვას უფროსებს. მაშინ ინფორმაციის ამდენი საშუალება სად იყო, ბავშვებიც უფრო ნაკლებ იყვნენ გათვითცნობიერებული და ბევრმა ჩვენგანმა არც იცოდა რა იყო ანეგდოტი, არ გაეგონა. რაკი პირველად „დაკითხულმა" ასე უპასუხა — გამოსულმა უმალ ჩაგვიკაკლა, რაც დირექტორის კაბინეტში გადახდა თავს, — ჩვენც პირწმინდად იგივე გავიმეორეთ. რაკი ვერაფერი დაგვაცდევინეს, შეგვეშვნენ. მაგრამ ჩვენი კლასი თითქოს გამოცვალესო, ის აღარ იყო, რაც იმ დღემდე. ახლანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ — მეგობრული კოლექტივი დაიშალა, დაბეზღებისა გვეშინოდა და ერთმანეთს გავურბოდით, კლასშიც აღარავინ ცუღლუტობდა, ჩურჩულ-კარნახი შეწყდა, მხოლოდ მასწავლებლისა და მოპასუხე მოსწავლის ხმას თუ გაიგონებდით.

მას მერე „გარეჯელთა" გუნდიც დაიშალა — აღარავის ჰქონდა ხალისი და ბურთის დევნის სურვილი, თანაც ერთად თავშეყრას ვერიდებოდით. ორიოდე წელიწადმა თვალის დახამხამებასავით გაირბინა და სიმწიფის ატესტატით ხელში ჩვენ ჩვენს გზას დავადექით. მე და რამდენიმე თანაკლასელი უნივერსიტეტში შევედით, სხვამ თავისი საქმე მონახა. მეორე კურსზე როცა გადავედით, ომიც დაიწყო და მოხალისედ ჯარში წავედით. ულვაში ამეღინღლა, რეზო მჭედლიშვილი კი მარად თოთხმეტი წლისა დარჩა. მერე ქერჩშიც ვიომე, ჩრდილოეთ კავკასიაშიც, სტალინგრადის მისადგომებთანაც და კურსკის რკალზეც, ვარშავაც გავათავისუფლე და ბერლინიც „დავიპყარი". საყვარელი სამშობლოსათვის განსაცდელიც ბევრი ვნახე, „შიშიც ვჭამე", შიმშილიც ვიწვნიე, სისხლიც დავღვარე, მტრის ზურგიდან მოენეებიც მომიყვანია, ხელჩართულ ბრძოლაშიც ვყოფილვარ და იერიშზე გადასულს გააფთრებით მიღრიალია — „სამშობლოსათვის!", „სტალინისათვის!"

და როდესაც ამ მაგიურ სახელს ვახსენებდი, უმალ მისი ჯალათების მიერ გაციმბირებული რეზოს სახეც წარმომიდგებოდა თვალწინ და ენა ჩამივარდებოდა, ვაშასაც ვეღარ ვყვიროდი.

მერე დადგა ნანატრი გამარჯვების დღე. ექვსი წლის განშორების შემდეგ შინ ჯილდოებით მკერდდამშვენებული დავბრუნდი, მეორე დღესვე მშობლიური სკოლისაკენ გავეშურე ჩემი აღმზრდელი მასწავლებლების სანახავად. ისინი ხომ ფრონტზეც ჩვეული მზრუნველობით მასწავლიდნენ — წერილებს ხშირად მწერდნენ და კვლავაც იმ მეექვსეკლასელივით მარიგებდნენ, მლოცავდნენ.

სკოლას რომ მივუახლოვდი, ანაზდად თვალი რეზოს სახლის აივნისაკენ გამექცა. დიდ ტახტზე, რომელიც, რაც თავი მახსოვს, სულ ერთ ადგილას — კედელთან იდგა, ზაფრანისფრად გადაყვითლებული რეზოს დედა, დეიდა და და ისხდნენ. ფეხი ამერია, მოვიკუნტე, თითქოს დავპატარავდი. სადღა იყო ჩემი სამწყობრო გამართულობა. აივანზე მსხდომებს, ალბათ, ღეზების ქლარუნი შემოესმათ და გზისკენ გამოიხედეს, დამინახეს, თვალი გამადევნეს.

— ვაიმე, შვილო-ო-ო-ო!!! — მომესმა გულდათუთქული დედის უსასოო ბღავილი. მივხვდი: მიცნეს და რეზო გაახსენდათ. ანკი, ოდესმე დაივიწყებს თავის პირმშოს შვილდაკარგული დედა?!

ფეხს ავუჩქარე, მაგრამ სკოლის ჭიშკართან რეზოს მამას — ძია ლევანას შევეფეთე. ჩემი დანახვისთანავე წუთით სახე გაუნათდა, თვალები გაუბრწყინდა და დიდი ხნის მომლოდინე მამასავით გაშალა ხელები. გულში ჩამიკრა.

— ცოცხალი დაბრუნდი, შვილო, სალსალამათი. — მეკითხებოდა ძია ლევანა გაბზარული ხმით და მიხუტებდა. მთელი სხეულით ვგრძნობდი რა ძალუმად უბორგავდა გული, ტანი უძაგძაგებდა, მოურიდებლად ქვითინებდა.

ხმა ვერ დავძარი. ერთბაშად ამდენი განსაცდელის გადატანა გამოცდილ, მხნე ვაჟკაცსაც გაუჭირდებოდა და ოცდასამი წლის „ყვითელნისკარტა" კაპიტანს რაღა დამემართებოდა, ადვილად მისახვედრია.

— ღმერთმა დაგლოცოს, შვილო, გაიხარე! — დამლოცა ძია ლევანამ, მხარზე ძალუმად დამკრა თავისი დაკოჟრილი მარჯვენა და გამშორდა.

იმ ზაფხულს ერთმანეთის მიყოლებით „წავიდნენ" რეზოსთან იმისი და, დეიდა და ბოლოს — დედაც. კენტად დარჩა ძია ლევანა — ათას ქარბორბალაში გამოვლილი, ცხოვრებისაგან ნაგვემ-დაჩაგრული, პატიოსანი მშრომელი გლეხკაცი. მას მერე იმ გზაზე გავლას ვერიდებოდი. თუ სადმე დავლანდავდი — მხარს ავუქცევდი, რამდენჯერმე მოულოდნელად შევეფეთე ქუჩაში, მაგრამ იმან ვითომ ვერ მიცნო, თვალი ამარიდა, უცხოსავით ჩამიარა. არც მერე, აგერ, ორმოცდამეხუთე წელიწადი მიდის — ვეღარა მცნობს.

ხალხისგან გავიგე, რაც ცოლ-შვილი მოუსავლეთში გაისტუმრა, დამუნჯდა, აღარავის ელაპარაკება, მთლად გაგარეულდაო...

...საცაა სამოცდაათს მივუკაკუნებ, თმა დამეთოვლა, რეზო! მას მერე ბურთისთვის ფეხი აღარ დამირტყამს, ახლა შენი ხნის ჩემი შვილიშვილები დარბიან სტადიონზე და... ჩვენი ყრმობა მაგონდება. გონების თვალით გხედავ კალიასავით აყლარწული ფეხებით როგორ მისდევ მოწინააღმდეგის თავდამსხმელს, ართმევ ბურთს და „სადგურელთა" კარისაკენ იგერიებ. თვალწინ მიდგას შენი შავგვრემანი სახე, დიდი ბრდღვიალა თვალები, მარცხენა ყვრიმალზე შავი ხალი და ცრემლი მახრჩობს.

— ბიჭო, რეზო, სადა ხარ? — შე პატარა „მავნებელო", „ხალხის მტერო!" ნეტავ შენი „საქმე" მაპოვნინა, ჩამახედა რა ბრალი დაგდეს, ვიცოდე რისი ამომგდები იყავი, ან რომელი არსენა თუ კამო შენა მყავდი, რომ სამუდამოდ გაგაციმბირეს?!.

ან ის მარჯვენადასამიწებელი გამომძიებელი ვინ იყო, ვინც შენ, მეზობლის ბაღში ვაშლიც რომ არ მოგიწყვეტია, მავნებლის იარლიყით მოუსავლეთში გაგისტუმრა? იქნებ თვითონ ახლაც ცოცხალია, წყეული, დედამიწას ამძიმებს და „მეც კაცი ვარო", იძახის!

ნეტავი შენი რეაბილიტაციის ფურცელი თუ გაუგზავნეს უბედურ მამაშენს?..

**დიმიტრი ბულისაშვილი.**

# სარბიელზე სპორტკლუბები

**ქალთა** საერთაშორისო დღეს მიეძღვნა რუსთავში გამართული საკავშირო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში სპორტულ კლუბებს შორის. 100-ზე მეტი გოგონა გამოვიდა საწარმოო გაერთიანება „აზოტის" სპორტული კომპლექსის სარბიელზე.

რუსთავის სპორტული კლუბის „ფოლადის" მიერ (თავმჯდომარე ნოდარ ჩახუნაშვილი) შეჯიბრებაზე მოწვეული იყო დნეპროპეტროვსკის (ორი ნაკრები), დნეპროძერჟინსკისა და თბილისის (სამი ნაკრები) გუნდები. მათ გარდა ასპარეზობდნენ რუსთაველი მხატვრული ტანმოვარჯიშეებიც.

გუნდური პირველობა მოიპოვა დნეპროპეტროვსკის სპორტულმა კლუბმა „მეტალმა". მეორე ადგილზეა რუსთავის „ფოლადი", მესამეზე — დნეპროპეტროვსკის სპორტკლუბის გუნდი „სტალი".

სპორტის ოსტატებს შორის საუკეთესო იყო თბილისელი ეკა მეიშვილი, ოსტატობის კანდიდატებში — დნეპროპეტროვსკელი ლიუბოვ კუკშინოვა.

**აკაკი ჟანდიაშვილი,**
„ლელოს" კორ.

რუსთავი.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

13-14 აპრილს საქართველოს ეროვნულ პირველობაში ჩაებმებიან II ჯგუფის (აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთის ქვეჯგუფების) გუნდები.

13 აპრილს პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან:

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

ლაგოდეხის „ჰერეთი" — საგარეჯოს „გარეჯი", თეთრიწყაროს „გარისი" — დმანისის „განთიადი", რუსთავის „რუსთავი" — კრწანისი-ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, წითელწყაროს „შირაქი" — თბილისის სსი, წალკის „თრიალეთი" — ჰაბუკიანის „განთიადი".

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

ახალციხის „მესხეთი" — თიანეთის „იორი", ბორჯომის „თორი" — თბილისის „ლოკომოტივი", მაიაკოვსკის „საირმე" — აწყურის „სამცხე", ხარაგაულის „ჩხერიმელა" — თბილისის „მგლები", ახპინძის „ვარძია" — ამბროლაურის „რაჭა", ტყიბულის „ოკრიბა" — ტყიბულის „ცხრაჯვარი".

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

ჩოხატაურის „ბახმარო" — ჰიათურის „მშენებელი", სოხუმის „სუბტროპიკი" — სამტრედიის „სამტრედია"-2, ლანჩხუთის „ჩიბათი-გურია"-2 — უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, დარჩელის „ჩელე" — ქუთაისის „აისი", მარტვილის „ჭყონდიდი" — დიდიჭყონის „მამული".

14 აპრილი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

მარნეულის „ალგეთი" — თბილისის „მრეტები", გარდაბნის „სამგორი" — თბილისის „მართვე", თსუ — ნაფარეულის „ნაფარეული", წნორის „ერწუხი" — ქვემოალვანის „თუშეთი", თბილისის „მიონი" — თბილისის ომს.

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — ონის „მამისონი", ახალქალაქის „აბული" — მუხრანის „მუხრანი", ქარელის „იბერია" — ბოგდანოვკის „ფარვანა", ადიგენის „ზარზმა" — კასპის „განთიადი".

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

ზუგდიდის „შევარდენი" — ხობის „კოლხეთი-2", სენაკის „ეგრისი" — ლაითურის „იმედი", ბათუმის „მენავთობე" — აბაშის „ზანა", ქედის „ბეთლემი" — ფოთის „ფაზისი", გულრიფშის „კოლხი" — ქუთაისის „ქუთაისი-2".

## საწვრთნელი მატჩი

**დაბა** ეშერის სპორტულ ბაზაზე სოხუმის „ცხუმმა", რომელიც რესპუბლიკის ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში გამოდის, საწვრთნელი მატჩი ჩაატარა ელისტის „ურალთან", რომელიც ეშერაში, საკავშირო ჩემპიონატისათვის (მეორე ლიგა) ემზადება.

ელისტელებმა ადრე ორჯერ ითამაშეს სოხუმის „დინამოსთან". პირველი შეხვედრა მოიგეს — 2:0, მეორეში კი დამარცხდნენ — 0:1.

8 აპრილს გამართული მატჩი „ცხუმთან" დამთავრდა ელისტელების გამარჯვებით ანგარიშით — 2:1. სოხუმელთაგან ბურთი დოჩიამ გაიტანა.

„ცხუმი" ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ქორქოლიანი, გელენავა, ფარულავა, დოჩია, მალანია, გეგენავა (თ. სიჭინავა), ჯელაძე, პაპასკირი, მორგოშია, გადელია, კუჰავა.

**თენგიზ პაჭკორია,**
**„ლელოს" კორ.**

ქ. სოხუმი.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი შეხვედრა.

მოსკოვის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 0:2 წააგეს ცსკა-სთან, ხოლო ხარკოვის „მეტალისტმა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" ერთმანეთს შორის ფრედ ითამაშეს — 0:0.

# ოღონდ ლამაზად ითამაშეთ!



ესეც ასე, დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ სტარტი აიღო საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა ფეხბურთში. თითქოს დაცხრა წინასწარი ვნებათა ღელვანი, მაგრამ სკეპტიკოსებსა და სხვისა ხელის შემყურეთ რა გამოლევს. ჩვენს ირგვლივ ხომ არც თუ იშვიათია ისეთი პირები, რომლებიც ყოველივე ჩვენეულს, თუნდაც ყველაზე კარგს, უცხოურს ამჯობინებენ. აქი თვალიცა და გულიც სხვათაკენ გაურბით. ასეთები საქართველოში თავიანთი ვიწრო ადგილსამყოფელს იქით არც კი იხედებიან, სხვადასხვა დროს კი მოვლილი აქვთ თითქმის მთელი მსოფლიო. მათთვის, აბა რა საამაყოა ტაბაწყურისა თუ ბაწარას შემოგარენი, ალავერდი თუ ნიკორწმინდა... მათი ხსენებით მსმენელს როდი გააკვირვებ. აი, საზღვარგარეთის ღირსშესანიშნაობათა ხსენება კი სულ სხვაა, მათი აზრით, უფრო ამაყად ჟღერს. საკვირველი სულაც არ არის, ასეთი ხალხი თუ ამჯობინებს საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყნის თუნდაც სუსტ ფეხბურთელთა გუნდების კინკლაობის ყურებას, ვიდრე, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ვაჟკაცურ შერკინებას. ამიტომაც არის, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაწყების შემდეგაც კი არ დაილია მოწუწუნეთა რიცხვი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მოწინააღმდეგეებს მეტად უსუსური ფაქტები მოჰყავდათ: ასეთი თვითიზოლაციით ქართული ფეხბურთი ჩაკვდებაო, ვეღარას ვისწავლით, ვერაფრით გავამდიდრებთ ტექნიკასა თუ ტაქტიკასაო. მაგრამ საკითხავია, ვინ ვისგან სწავლობდა, რა გვჭირდა ფეხბურთში სხვების სასწავლებელი (მჩედველობაში მაქვს საბჭოთა კავშირი)? გადახედეთ ქართული ფეხბურთის ისტორიას (აი, უხეშობა და მოწინააღმდეგისთვის კვანტის გამოდება, იცოცხლე, გვასწავლეს)...

საკმაოდ შორს წაგვიყვანს საილუსტრაციო ფაქტების ჩამოთვლა. თუნდაც ის, რომ კიევის „დინამოს" გარდა, მხოლოდ ჩვენ მოვიპოვეთ დიდი გამარჯვება ევროპულ ტურნირზე, არადა, საბჭოთა კავშირში ამდენი გუნდი და ფეხბურთელია...

საკმაოდ დიდი ეროვნული საქმე გავაკეთეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მიტოვებით. ამით არაფერს დავკარგავთ, პირიქით კი, ბევრს შევიძენთ, რაშიაც უახლოეს პერიოდშივე დავრწმუნდებით. თუმცა ისედაც დასაკარგავი არაფერი გვქონდა, პირიქით, იმათ დაკარგეს, მით უმეტეს, რომ ჩვენ მოგვბაძა „ჟალგირისმა", ხვალ ან ზეგ ალბათ ამ გზას დაადგებიან უკრაინისა თუ სხვა რესპუბლიკების გუნდებიც. ასეთია ჭეშმარიტება, რაც აღელვებთ და გულზე ცეცხლივით ეკიდებათ მოსკოველ ფუნქციონერებს. ვინღა დარჩებიან მათს ლიგებში ან რა ფეხბურთი შერჩებათ ხელში? ამიტომ უნდათ ერთიანობის კვლავ აღდგენა, თავიანთ ფეხბურთში ჯანსაღი სისხლის გადასხმა. უამისოდ რა სიტყვა უნდა თქვან მსოფლიოში? თუმცა, რაში გვაინტერესებს სხვისი ფეხბურთი, ჩვენ ჩვენი საზრუნავი გვაქვს.

დაიწყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. ახლა მთავარი საზრუნავია, კარგ დასაწყისს კარგი გაგრძელებაც მოჰყვეს, ფეხბურთის მოედნებზე იყოს მაყურებელთა სიმჭიდროვე. რა დასამალია, ბოლო წლებში უმრავლესობა ფეხბურთის მატჩებზე მივდიოდით იმ იმედით და რწმენით, რომ ჩვენი გუნდი დაამარცხებდა მოწინააღმდეგე არაქართულ გუნდს. იშვიათ მაყურებელს ჰქონდა ლამაზი ფეხბურთის ნახვის იმედი. ახლა კი თამაშობენ ქართული გუნდები და უკვე მოგება და წაგება მართლაც ძმები არიან, მასადამე უხეშობაც უცილობლად უნდა გამოირიცხოს (შემთხვევითობას არ ვგულისხმობ), არ უნდა იყოს განზრახ უხეშობა, მით უმეტეს — ზღვარგადასული. მთავარი და ანგარიშგასაწევია კიდევ ერთი ფაქტორი: ქართველი მაყურებლისთვის უკვე თითქმის სულერთია რომელი გუნდი მოიგებს, თუმცა ყველას თავისი გამორჩეული გუნდი ჰყავს, მაგრამ ალბათ დიდად არ დაწყდება გული, თუ მისი გუნდი წააგებს. რა ვუყოთ, სანაცვლოდ ისევ ქართველები გაიმარჯვებენ. მაყურებელიც ფეხბურთის მატჩებზე ივლის, რომ იხილოს ლამაზი ფეხბურთი. თუ კაცი წინასწარ იქნება დარწმუნებული, საქართველოში კი არა, ცხრა მთას იქით წავა ლამაზი ფეხბურთის სანახავად (თუ გაუშვებენ). ახლა უკვე ჩვენი ფეხბურთელებისთვის მოედანი საბრძოლო ასპარეზად კი არა, როგორც აქამდე იყო, სათამაშოდ გადაიქცა, ვის, ვის და ქართველ კაცს ნამდვილად არ ესწავლება თამაში.

ჩვენო საამაყო ქართველო ფეხბურთელებო, ძალ-ღონეს ნუ დაიშურებთ ლამაზი ფეხბურთისათვის! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თქვენ ეს უნდა შეიძლოთ მტრის ჯიბრზე. ყოველთვის გვაჩვენეთ ლამაზი ფეხბურთი და ჩვენც გაჩვენებთ ნამდვილ ქართულ გულშემატკივრობას.

**ბიძინა წიკლაური.**

## იტალია-90

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მსოფლიოს** მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალისტმა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა ქ. ფენტონში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ისლანდიის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 4:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ტრიტშუმ, ვინდალამ (2) და მიურეიმ, ხოლო საპასუხო — პეტურსონმა.

**ბაზელში** ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიისა და იტალიის ნაკრები გუნდები, ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს იტალიელებმა, ერთადერთი ბურთი გაიტანა დე აგოსტინიმ.

აღსანიშნავია, იტალიელებმა ბოლო 4 მატჩში მხოლოდ ერთხელ შეძლეს გოლის გატანა, მანამდე ბრაზილიის, ინგლისისა და ჰოლანდიის გუნდებთან შეხვედრებში ისინი ხელმოცარულნი მიდიოდნენ მინდვრიდან.

შვეიცარიისა და რუმინეთის გუნდების შეხვედრაში, რომელიც შვეიცარიელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1, შვეიცარიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მე-100 მატჩი ჩაატარა ჰერმანმა.

## ფეხბურთელმა ამანათი გამოგზავნა

**მინსკელი** ფეხბურთელი ს. ალეინიკოვი ამჟამად ტურინის „იუვენტუსში" გამოდის. მან ამას წინათ საკუთარი სახსრებით 10 ათასი ერთჯერადი შპრიცი შეიძინა იტალიის წითელი ჯვრის ორგანიზაციასთან ერთად და მინსკის ერთ-ერთ საავადმყოფოში გაგზავნა. მეტად საჭირო ამანათის დანიშნულ ადგილზე სწრაფად გადმოტანას უზრუნველყოფენ აეროფლოტი და იტალიის ტურისტული სატრანსპორტო ფირმა, რომელმაც თავის თავზე აიღო ხარჯების ნაწილის გაღება.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

**ესპანეთი**

**32-ე ტური.** „ლოგრონიესი" — „მალაგა" 2:0, „ვალეკანო" — „პამპლონა" 1:0, „ხიხონი" — „ბარსელონა" 0:2, „სარაგოსა" — „რეალი" 0:1, „სელტა" — „ტენერიფე" 1:0, „კადისი" — „კასტელონი" 1:0, „სევილია" — „პამპლონა" 1:1, „ლოგრონიესი" — „სან სებასტიანი" 1:0, „ატლეტიკო" — „ვალეკანო" 2:0, „ვალენსია" — „მაიორკა" 1:0, „მალაგა" — „ოვიედო" 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" | 32 | 91-30 | 53 |
| „ატლეტიკო" | 32 | 46-27 | 44 |
| „ვალენსია" | 32 | 52-35 | 44 |

**საფრანგეთი**

**31-ე ტური.** „ლიონი" — „კანი" 0:1, „ნანტი" — „მონაკო" 0:0, „ტულუზა" — „სენტ ეტიენი" 1:1; „ნიცა" — „ტულონი" 1:2, „მეცი" — „რესინგი" 0:0, „მონპელიე" — „სოშო" 2:0, „სენ ჟერმენი" — „კაენი" 3:1, „მულუზი" — „ბორდო" 0:0, „ოსერი" — „ბრესტი" 3:1, „მარსელი" — „ლილი" 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო" | 31 | 45-18 | 45 |
| „მარსელი" | 30 | 64-28 | 43 |
| „მონაკო" | 31 | 29-22 | 36 |

**დანია**

**1 ტური.** „ბრონდბიუ" — „ნესტვედი" 0:0, „ორჰუსი" — „ფრემი" 1:1, „1903 კოპენჰაგენი" — „იკასტი" 2:2, „ჰერფოლგე" — „ვიბორგი" 1:0, „ლუნგბიუ" — „სილკებორგი" 1:2, „ოდენსე" — „ოლბორგი" 1:1, „ვეილე" — „კბ კოპენჰაგენი" 2:0.

**გფრ**

**27-ე ტური.** „დორტმუნდი" — „მანჰეიმი" 2:0, „დიუსელდორფი" — „ჰომბურგი" 1:0, „ვერდერი" — „ჰამბურგი" 2:1, „ბაიერნი" — „შტუტგარტი" 3:1, „ნიურნბერგი" — „კიოლნი" 1:1, „მიონხენგლადბახი" — „კარლსრუე" 0:0, „ლევერკუზენი" — „ბოჰუმი" 2:1, „კაიზერსლაუტერნი" — „იურდინგენი" 2:1, „სენტ პაული" — „ფრანკფურტი" 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 27 | 58-24 | 39 |
| „ლევერკუზენი" | 27 | 38-21 | 36 |
| „კიოლნი" | 27 | 40-35 | 34 |

**თურქეთი**

**27-ე ტური.** „დემირსპორი" — „კონიასპორი" 1:5, „საკარიასპორი" — „სარიერსპორი" 0:2, „კარსიაკა" — „გენჩლირბირლიგი" 1:5, „ფენერბახჩე" — „ტრაბზონსპორი" 1:0, „ანკარაგიუჯუ" — „ალთაი" 0:2, „მალატიასპორი" — „ბურსასპორი" 1:0, „ბეშიქთაში" — „ადანასპორი" 3:0, „სამსუნსპორი" — „ბოლუსპორი" 1:1, „ზეითუნბურნუ" — „გალათასარაი" 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბეშიქთაში" | 27 | 62-16 | 59 |
| „ფენერბახჩე" | 27 | 52-30 | 57 |
| „გალათასარაი" | 27 | 47-16 | 55 |

**პორტუგალია**

**26-ე ტური.** „სეტუბალი" — „ბელენენსეში" 0:2, „გიმარაეში" — „ამადორა" 0:0, „ბეირა მარი" — „მადეირა" 1:0, „ნასიონალი" — „ბოავიშტა" 2:1, „პორტუ" — „ფეირენსე" 3:1, „პენაფიელი" — „ტირსენსე" 0:0, „პორტიმონენსე" — „ბრაგა" 1:0, „სპორტინგი" — „მარიტიმო" 1:0, „ბენფიკა" — „შავეში" 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტუ" | 26 | 58-11 | 46 |
| „ბენფიკა" | 26 | 64-12 | 43 |
| „გიმარაეში" | 26 | 36-16 | 37 |

**ინგლისი**

**32-ე ტური.** „არსენალი" — „ევერტონი" 1:0, „ჩარლტონი" — „ქუინს პარკი" 1:0, „ჩელსი" — „დერბი" 1:1, „ლივერპული" — „საუთჰემპტონი" 3:2, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ქოვენთრი" 3:0, „მილუოლი" — „კრისტალ პალასი" 1:2, „ნორვიჩი" — „ლუთონი" 2:0, „ნოტინგემი" — „უიმბლდონი" 0:1, „შეფილდი" — „ტოტენჰემი" 2:4.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 30 | 56-30 | 59 |
| „ასტონ ვილა" | 31 | 47-28 | 59 |
| „არსენალი" | 31 | 46-30 | 53 |

**შოტლანდია**

**31-ე ტური.** „დანდი" — „აბერდინი" 1:1, „დანფერმლაინი" — „დანდი იუნაიტედი" 0:1, „ჰიბერნიანი" — „ჰართსი" 1:2, „სენტ მირენი" — „მოზერეული" 0:0, „რეინჯერსი" — „სელტიკი" 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 31 | 42-17 | 43 |
| „აბერდინი" | 31 | 50-31 | 37 |
| „ჰართსი" | 31 | 50-33 | 37 |

**ჰოლანდია**

**28-ე ტური.** „ჰაარლემი" — „ნიემიგენი" 1:1, „გრონინგენი" — „როდა" 1:1, „დენ ბოში" — „ტილბურგი" 1:1, „სიტარდი" — „დენ ჰააგი" 2:1, „ფეიენორდი" — „აიაქსი" 0:1, „არნჰემი" — „ეინდჰოვენი" 0:2, „ვალვიკი" — „მაასტრიხტი" 1:1, „ვოლენდამი" — „ტვენტე" 2:1, „უტრეხტი" — „სპარტა" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 28 | 85-31 | 40 |
| „აიაქსი" | 27 | 50-19 | 38 |
| „როდა" | 28 | 46-30 | 36 |

**ბელგია**

**28-ე ტური.** „ანდერლეხტი" — „მეხელენი" 0:3, „რესინგი" — „ეკერენი" 1:1, „ანტვერპენი" — „ბრიუგე" 0:4, „სენტ ტრუდენი" — „სტანდარდი" 1:1, „ბეერსკოტი" — „შარლერუა" 2:0, „ლოკერენი" — „გენტი" 1:1, „ვარეგემი" — „ლიერსი" 2:1, „სერკლი" — „კურტრე" 1:3, „ლიეჟი" — „ბევერენი" 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრიუგე" | 28 | 61-19 | 46 |
| „ანდერლეხტი" | 28 | 64-18 | 44 |
| „მეხელენი" | 28 | 56-9 | 43 |

**უნგრეთი**

**21-ე ტური.** „ჰალადაში" — „დებრეცენი" 0:0, „ბეკეჩაბა" — „ვაშაში" 4:1, „სიოფოკი" — „იზოვაკი" 3:2, „ჰონვედი" — „ვესპრემი" 0:2, „დოჟა" — „პეჩი" 1:0; „ვიდეოტონი" — „ფერენცვაროში" 0:1, „ჩეპელი" — მტკ 2:4, „ტატაბანია" — „რაბა ეტო" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დოჟა" | 21 | 32-14 | 46 |
| მტკ | 21 | 33-18 | 45 |
| „პეჩი" | 21 | 28-15 | 37 |

**ჩეხოსლოვაკია**

**23-ე ტური.** „ზბროიოვკა" — „სლავია" 2:2, „დუკლა" — „პოვაჟსკა ბისტრიცა" 4:0. „ინტერი" — „ვიტკოვიცე" 5:0, „ნიტრა" — „სლოვანი" 1:1, „ბანიკი" — „სპარტა" 2:1, „სპარტაკი" — „რუდა ჰვეზდა" 0:0, „ბოჰემიანსი" — „დუნაისკა სტრედა" 2:0, „ბანსკა ბისტრიცა" — „სიგმა" 2:0

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა" | 23 | 50-23 | 35 |
| „ინტერი" | 23 | 48-23 | 32 |
| „ბანიკი" | 23 | 39-19 | 31 |

**პოლონეთი**

**მე-20 ტური.** „ბიალისტოკი" — გკს 0:0, „ვისლა" — „სლასკი" 1:1, „ლეხი" — „კს ლოძი" 1:1, „მოტორი" — „ზაგლემბე" 1:0, „სტალი" — „ბიდგოშჩი" 1:0, „გურნიკი" — „სოსნოვეცი" 1:1, „ვიძევი" — „ოლიმპია" 1:0, „რუხი" — „ლეგია" — 0:0

| | | | |
|---|---|---|---|
| გკს | 20 | 23-11 | 28 |
| „ზაგლემბე" | 20 | 27-16 | 28 |
| „ბიდგოშჩი" | 20 | 25-16 | 25 |

**ბულგარეთი**

**22-ე ტური.** „სლივენი" — „დუნავი" 2:2, „ბოტევი" — „თრაკია" 3:1, „ორიახოვიცა" — „ბურგასი" 2:0, „სლავია" — „ეთირი" 0:0, „ლოკომოტივი" — „პლოვდივი" — „ლევსკი" 1:1, „პირინი" — „ჩერნომორეცი" 1:0, „პასარჯიკი" — „ბეროე" 1:2, „ცსკა" — „ლოკომოტივი" (სოფია) 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ცსკა" | 22 | 63-20 | 32 |
| „სლავია" | 22 | 21-17 | 27 |
| „პირინი" | 21 | 29-21 | 26 |

**იუგოსლავია**

**26-ე ტური.** „ველეჟი" — „სარაევო" 3:1, „ბუდუჩნოსტი" — „რადი" 0:1, „რიეკა" — „ოლიმპია" 0:0 (3:2), „ბორაცი" — „ცრვენა ზვეზდა" 0:0 (4:5), „რადნიჩკი" — „დინამო" 1:1 (5:6), „პარტიზანი" — „სპარტაკი" 1:0, „ჰაიდუკი" — „სლობოდა" 2:0, „ოსიეკი" — „ვოივოდინა" 2:1, „ჟელეზნიჩარი" — „ვარდარი" 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" | 26 | 48-14 | 37 |
| „ცრვენა ზვეზდა" | 26 | 62-28 | 36 |
| „ჰაიდუკი" | 26 | 37-28 | 26 |

**ავსტრია**

**29-ე ტური.** „ზალცბურგი" — „სენტ პოლტენი" 1:1, „ტიროლი" — „შტურმი" 2:1, „ადმირა" — „რაპიდი" 0:2, „აუსტრია" — „ვიენა" 3:0

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი" | 29 | 56-26 | 28 |
| „აუსტრია" | 29 | 65-37 | 25 |
| „რაპიდი" | 29 | 58-37 | 23 |

(საქ. ინფ.)

# კასპაროვ-კარპოვი, მეხუთედ!

**პრეტენდენტთა** ფინალური მატჩით ანატოლი კარპოვსა და იან ტიმანს შორის დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის მეტოქის შესარჩევი ფრიად ხანგრძლივი ციკლი. თუ 1989 წლის დასაწყისში წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ ბრძოლას აგრძელებდა 15 პრეტენდენტი, ახლა მათგან ერთადერთი და, პირდაპირ უნდა ითქვას, ყველაზე ღირსეული დარჩა, რომელიც ოქტომბერში რიგით მეხუთე მატჩს ითამაშებს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის წოდებისთვის.

დიდოსტატებისა და საჭადრაკო ექსპერტების ნაწილი სამართლიანად აცხადებს პროტესტს იმის გამო, რომ ფიდე კარპოვს სისტემატიურად დიდსა თუ პატარა შეღავათებს ანიჭებს. ასე მაგალითად, 1987 წელს კარპოვი საერთოდ განთავისუფლდა თითქმის მთელი შესარჩევი ციკლისაგან და მისთვის ისტორიაში პირველად (და, უნდა ვიფიქროთ, უკანასკნელადაც!) ე. წ. პრეტენდენტთა სუპერფინალური მატჩი მოეწყო. 1988-90 წლების ციკლში მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ასევე ჰქონდა, მართალია, შედარებით უფრო მცირე შეღავათი — მან პრეტენდენტების შეჯიბრება დაიწყო არა მერვედფინალიდან, როგორც სხვებმა, არამედ — მეოთხედფინალიდან. შეღავათი შეღავათად, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ კარპოვი ახლა, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, არის თანამედროვეობის № 2 მოჭადრაკე, რაც პრეტენდენტთა მატჩების მსვლელობამაც დაადასტურა. მეოთხედფინალში ახალგაზრდა ირლანდიელი იოჰან ჰიარტარსონი მისთვის საერთოდ არ აღმოჩნდა სერიოზული მეტოქე. ნახევარფინალში ასევე ძლია არტურ იუსუპოვის შეუპოვარი წინააღმდეგობა, ახლა კი იან ტიმანთან...

თქმა არ უნდა, მეტოქეები ფინალური მატჩისათვის მეტად სერიოზულად მოემზადნენ. კარპოვმა დაამუშავა ზოგიერთი ახალი სადებიუტო სქემა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ჰოლანდიელ დიდოსტატს, ისევე როგორც ადრე არაერთგზის მომხდარა, სტრატეგიულ თამაშში სძლევდა. გარდა ამისა, ყველასთვის ცხადია, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ტიმანთან შედარებით გაცილებით უფრო დახვეწილი ტექნიკა აქვს. რა თქმა უნდა, ვარკვეული იმედები ჰოლანდიელსაც ჰქონდა. მან საგულდაგულოდ შეისწავლა კასპაროვ-კარპოვის მატჩებში ადრე ნათამაშევი პარტიები და დაასკვნა, რომ ზოგიერთ დებიუტში ექს-ჩემპიონი შავებით, ცოტა არ იყოს, თავს უხერხულად გრძნობს. ამიტომ ტიმანმა თავისი მრავალრიცხოვანი მოკავშირეების დახმარებით (უნდა ითქვას, რომ მას მზადების იდეალური პირობები აქვს) გადაახალისა სადებიუტო რეპერტუარი და დაგეგმა, თუ სად მიეყენებინა მეტოქისათვის გადამწყვეტი დარტყმა.

როგორც ყოველთვის, ფინალური მატჩის მონაწილეებს მწვრთნელების მთელი ბრიგადები ეხმარებოდნენ. მუდმივი მწვრთნელების, იგორ ზაიცევისა და მიხეილ პოდგაეცის გარდა, კარპოვმა ამჯერად მოიშველია ოლეგ რომანიშინიც, არაერთი ორიგინალური სადებიუტო სქემის ავტორი და საერთოდ, მეტად თავისებური სტილის მოჭადრაკე. იან ტიმანის ბანაკში იყო განთქმული შვედი დიდოსტატი, უაღრესად დახვეწილი ტექნიკის მქონე ულფ ანდერსონი, რომელიც გადადებული პარტიების ანალიზისას პირდაპირ შეუცვლელი მოკავშირეა, და უნგრელი დიულა საქსი — ფრიად გამჭრიახი ტაქტიკოსი. გარდა ამისა, კუალა-ლუმპურში ჰოლანდიურმა გაზეთებმა კორესპონდენტად მიავლინეს ცნობილი დიდოსტატი ჰანს რეე, რომელსაც ასევე შეეძლო ტიმანისთვის დახმარების გაწევა. ერთი სიტყვით, არც ერთსა და არც მეორე მხარეს მხარდამჭერი და მოკავშირე არ აკლდა.

როგორ წარიმართა მატჩი, ვისმა ტაქტიკამ გაამართლა? უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ტიმანის ტაქტიკა მეტოქის „ქანცის გაწყვეტის" შესახებ სწორი არ გამოდგა. კარპოვმა გაითვალისწინა შარშანდელი მართლაც და მწარე გაკვეთილები (როცა მსოფლიო თასის ტურნირის ფინიშზე სამი პარტია წააგო) და ამ მატჩისთვის ფიზიკურად საგანგებოდ მოემზადა. თუმცა ბრძოლა ბოლომდე შეუპოვარ ხასიათს ატარებდა და არც ერთი სწრაფი ყაიმი არ აღინიშნულა, კარპოვს დაღლილობა არ შესტყობია. ტიმანი თეთრებით ხშირად მიმართავდა ესპანურ პარტიას, სადაც ადრე კასპაროვი კარპოვს სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებდა. მაგრამ აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი: ჯერ ერთი, ეს იყო ადრე და მეორეც, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, მაშინ კასპაროვის წინააღმდეგ თამაშობდა... კარპოვი! ახლა კი ესპანური პარტია ტიმანის „შესრულებით" ისეთი სახიფათო არ აღმოჩნდა. კარპოვი მარჯვედ იცავდა თავს, შემდეგ კი ხელსაყრელი მომენტი რომ დაეგებოდა, კონტრიერიშზე გადადიოდა და პარტიის ბედს თავის სასარგებლოდ წყვეტდა.

6,5:2,5! თითქოს აქ სადავო არაფერი უნდა იყოს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, კარპოვი, რომელიც ბუნებრივია, კმაყოფილია სპორტული შედეგით, თავისი თამაშით მაინც უკმაყოფილოა. დიახ, იგი უკეთ მოქმედებდა, ვიდრე შარშან როტერდამსა ან რეჯიო-ემილიაში, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ზოგ შეხვედრაში აშკარა შეცდომა მოუვიდა. [illegible] პარტიაში მოსკოველმა დიდოსტატმა ზედმეტი პაიკი ვერ გამოიყენა, [illegible] კი პირდაპირ [illegible] რამ მოხდა. ეტლების ენდშპილში მას ზედმეტი პაიკი ჰქონდა და არცთუ ისე რთული მანევრებით შეეძლო მოგება. ამის ნაცვლად კარპოვს მეტად სერიოზული (თავისი კარიერის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო სერიოზული!) შეცდომა მოუვიდა, პაიკი დაიკარგა და დაფაზე აშკარად საყაიმო ენდშპილი წარმოიქმნა.

რამდენად სამართლიანია ის, რომ პრეტენდენტთა ხანგრძლივი ბრძოლა სწორედ კარპოვის გამარჯვებით დამთავრდა?! ახლა აღარავის აეჭვებს, რომ ასეთი შედეგი სრულად ობიექტური და სამართლიანია. საქმე ის არის, რომ დღეს მსოფლიოში არ არის მოჭადრაკე, კარპოვის გარდა, რომელსაც შეუძლია კასპაროვს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს. ახლა ისეთი თავისებური პერიოდია, როცა უფროსი თაობის პრეტენდენტები ასაკის გამო თანდათან კარგავენ პოზიციებს, ახალგაზრდები კი უმაღლესი დონის მატჩისთვის სათანადოდ არ „მომწიფებულან". ასე რომ, როგორც ადრე თვით კასპაროვიც ვარაუდობდა, მას ისევ კარპოვთან უწევს ბრძოლა.

რა თქმა უნდა, ამ მომავალ მატჩზე წინასწარ შეიძლება ბევრი რამ ითქვას, მაგრამ ეს უფრო სხვა სასაუბრო თემა გახლავთ...

**ბივი ბამრეკელი.**



## ჩემპიონი ვადამდე

**კალათბურთელ** ვაჟთა 57-ე საკავშირო ჩემპიონატში ჩასატარებელი დარჩა ოთხი მატჩი, მაგრამ გამარჯვებული გუნდის ვინაობა უკვე ცნობილია. ეს გახლავთ არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი, რომელმაც ბოლო ორი შეხვედრა მოუგო რიგის ვეფ-ს — 102:92, 85:80 და ჩემპიონატის დამთავრებამდე დაინალდა ოქროს მედლები.

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 41 | 36 | 5 | 77 |
| „დინამო" | 44 | 32 | 12 | 76 |
| „კალევი" (ტალ.) | 44 | 28 | 16 | 72 |
| „ბუდიველ." (კ.) | 42 | 28 | 14 | 70 |
| ასკ (ალმა-ათა) | 43 | 27 | 16 | 70 |
| ვეფ (რიგა) | 44 | 24 | 20 | 68 |
| „სპარტ." (ლენ.) | 44 | 23 | 21 | 67 |
| „შახტ." (დონ.) | 44 | 14 | 30 | 58 |
| რტი (მინსკი) | 44 | 12 | 32 | 56 |
| „დინამო" (თბ.) | 42 | 13 | 29 | 55 |
| „ჟალგირ." (კაუნ.) | 44 | 17 | 27 | 54 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 44 | 6 | 38 | 46 |

## კონკურსი დამთავრდა

**როგორც** ვიუწყებოდით, აპრილში ჩატარდება კალათბურთელთა საკავშირო ფესტივალი, რომლის გვირგვინი იქნება „დასავლეთისა" და „აღმოსავლეთის" ნაკრები გუნდების შეხვედრა. 24 თებერვალს გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" გამოაცხადა საინტერესო კონკურსი, რომელშიც თხოვდა მკითხველებს შეეთავაზებინათ რედაქციისთვის ამ ნაკრები გუნდების საკუთარი ვარიანტი. კონკურსის ვადების დამთავრების შემდეგ სპეციალურმა ჟიურიმ დაითვალა ხმები და გამოიყვანა ცალკე აბსოლუტური გამარჯვებულები, ცალკე კი ნაკრები გუნდების შემადგენლობები.

ხმების აბსოლუტური უმრავლესობა დააგროვა ცსკა-ს ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვლადიმერ ტკაჩენკომ — 17601 ხმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ვალერი ტიხონენკო (ალმა-ათის ასკ) — 16138, ტიიტ სოკი (ტალინის „კალევი") — 15483, ვიქტორ ბერეჟნოი (ცსკა) — 14146 და გუნდარს ვეტრა (რიგის ვეფ-ი) — 13124.

კონკურსის საფუძველზე შედგენილი ნაკრები გუნდების ხუთეულები გამოიყურება ასე:

**„დასავლეთის" ნაკრები:** ცენტრალური თავდამსხმელი — სერგი ბაბენკო („კალევი"), ფორვარდები — გინტარას კრაპიკასი და რომანდას ბრაზდაუსკასი (ორივე — „ჟალგირისი"), მცველები — ტიიტ სოკი („კალევი") და გუნდარს ვეტრა (ვეფ-ი).

**„აღმოსავლეთის" ნაკრები:** ცენტრალური თავდამსხმელი — ვლადიმერ ტკაჩენკო (ცსკა), ფორვარდები — ვალერი ტიხონენკო (ალმა-ათის ასკ) და ვიქტორ ბერეჟნოი (ცსკა), მცველები — ანდრეი პოდკოვიროვი („ბუდიველნიკი") და ვლადიმერ გორინი (ცსკა).

აღმოსავლეთის ნაკრების შემადგენლობაში მკითხველებმა სხვებთან ერთად დაასახელეს თბილისის „დინამოს" ორი კალათბურთელი: გელა დარსაძე (მიიღო 1664 ხმა) და ანდრეი ტიუბინი (453).

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი. ამ კონკურსის პარალელურად „დასავლეთისა" და „აღმოსავლეთის" გუნდების მწვრთნელებმა რედაქციას ნაკრების თავიანთი ვარიანტები შესთავაზეს. ვლადიმერ კონდრაშინი (დასავლეთის ნაკრები): ვალერი კოროლიოვი (ლენინგრადის „სპარტაკი"), იგორ ძელნიკი (რიგის ვეფ-ი) მარგუს მეტსტაკი (ტალინის „კალევი"), ვიქტორ ჟარკოვი, ევგენი კისურინი (ორივე — ლენინგრადის „სპარტაკი"), კარლის მუიჟნიეკსი (რიგის ვეფ-ი) და იგორ გრიშჩუკი (მინსკის რტი).

ალექსანდრე ბელოვი (აღმოსავლეთის ნაკრები): სერგეი გრიშაევი, ალექსანდრე ოხოტნიკოვი (ორივე — მოსკოვის „დინამო"), ანდრეი ლოპატოვი (ცსკა), იური ჟუკანენკო (ალმა-ათის ასკ), სერგეი ბაზარევიჩი (მოსკოვის „დინამო"), ოლეგ მელეშჩენკო (ალმა-ათის ასკ) და ევგენი მურზინი (კიევის „ბუდიველნიკი").

როგორც ხედავთ, გულშემატკივრებისა და მწვრთნელების შემადგენლობებს შორის დიდი სხვაობაა. გვარები მათში, ფაქტიურად, არ მეორდება.

## კოეფიციენტმა დაასახელა

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის მესამე ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში (30-30-წუთიანი პარტიები).

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდა 56 მოჭადრაკე. მათ შორის საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი და ოსტატი სოფიკო ტერელაძე. დანარჩენი ოსტატობის კანდიდატები იყვნენ.

დებულების თანახმად თორმეტმა მოჭადრაკემ მიიღო საქართველოს ჩემპიონატის ანალოგიურ ტურნირში თამაშის უფლება.

უაღრესად რთულ და დაძაბულ ბრძოლებში 7,5-7,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ზაზა ხოფერიამ და ალექსი ლაზარაშვილმა. უკეთესი კოეფიციენტის გამო, თბილისის ჩემპიონის წოდება ზაზა ხოფერიას მიეკუთვნა. 6,5-6,5 ქულით III-VI ადგილები გაინაწილეს კახა შალამბერიძემ, ნიკოლოზ ჩახოიანმა, გია სიხარულიძემ და ნოდარ გოგაძემ. უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილი შალამბერიძეს ერგო.

6-6 ქულით VII-XII ადგილები გაიყვეს გივი გოგიჩაიშვილმა, ირაკლი ღვამიჩავამ, კახა პეტრიაშვილმა, ალექსანდრე დგებუაძემ, ბადრი მიქაბერიძემ და ბესიკ სხილაძემ.

საქართველოს ჩემპიონატის ანალოგიურ ტურნირში დაშვების კანდიდატები არიან თამარ ხუგაშვილი, სოფიკო ტერელაძე, ვასილ ვაშაკიძე, თემურ გათიკოევი და გიორგი გელაშვილი, რომლებიც 5,5-5,5 ქულით XIII-XVII ადგილებზე გავიდნენ.

## ევროპაში საუკეთესონი

**თერთმეტი** წელია, რაც იტალიის „გაძეტა დელო სპორტი" ატარებს გამოკითხვას ევროპის საუკეთესო კალათბურთელების გამოსავლენად. მასში ტრადიციულად მონაწილეობენ ეროვნული გუნდების მწვრთნელები, კაპიტნები და ჟურნალისტები.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, ევროპის უძლიერეს კალათბურთელ ვაჟთა ხუთეული ასე გამოიყურება: დრაჟენ პეტროვიჩი (იუგოსლავია) — 81 ხმა, დინო რაჯა (იუგოსლავია) — 64, ტონი კუკოჩი (იუგოსლავია) — 51, ვლადო დივაცი (იუგოსლავია) — 44 და შარუნას მარჩიულიონისი (სსრ კავშირი) — 42. მეორე ხუთეულში პირველ ნომრად დასახელებულია ბერძენი ნიკოს გალისი, მეათე ნომრად კი არვიდას საბონისი (სსრ კავშირი).

ქალთა ხუთეული ასეთია: დამირა ნაკიჩი (იუგოსლავია) — 68, სვეტლანა კუზნეცოვა (სსრ კავშირი) — 43, ერიკა დობროვიცოვა (ჩეხოსლოვაკია) — 23, ნატალია ზასულსკაია (სსრ კავშირი) —17 და გალინა სავიცკაია (სსრ კავშირი) — 15.

პეტროვიჩმა, გახსოვთ ალბათ, თავი გამოიჩინა იუგოსლავიის ეროვნულ ნაკრებში, რომელმაც ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიგო. მერე იგი ერთხანს მადრიდის „რეალში" თამაშობდა, ახლა კი მიპატიჟებულია ნბა-ს ლიგის პროფესიულ კლუბში „პორტლენდ ტრეილ ბლეიერზში."

ნაკიჩს უძლიერესად ზედიზედ მეორედ ასახელებენ. იგი სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია.

## ოლიმპიური ფესტივალი შტატებში

**აშშ-ს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ამზადებს ქვეყნის ოლიმპიურ ფესტივალს, რომელიც დაიწყება წლეულს მინეაპოლისში და დასრულდება 1991 წელს ლოს-ანჯელესში. მასში მონაწილეობას მიიღებს ამერიკის ოლიმპიური ნაკრები გუნდების 4 ათასზე მეტი კანდიდატი. შეჯიბრებები მოეწყობა ზამთრისა და ზაფხულის სპორტის 37 სახეობაში.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური მენეჯერისა და ამ ღონისძიების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ჰარი უშერის განცხადებით სპორტსმენები დაბინავდებიან ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ სოფელში, რომელიც აშენდა 1984 წლის თამაშებისთვის. ამას ორგანიზატორები საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებენ და ფიქრობენ, რომ სპორტსმენთა ცხოვრება ოლიმპიურ სოფელში პრესტიჟსა და ავტორიტეტს აუწევს ფესტივალს. უშერმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა ისიც, რომ ლოს-ანჯელესს განზრახული აქვს უმასპინძლოს 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებს.

## დრო შეიცვალა

**მსოფლიოს** ექს-ჩემპიონის შვედი სტელან ბენგტსონის აზრით მაგიდის ჩოგბურთში ფინანსური პრობლემები აღარ არსებობს. უკვე შეიქმნა პროფესიონალ სპორტსმენთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც ხელსაყრელი კომერციული კონტრაქტებისა და მაღალი საპრიზო ფონდების წყალობით სოლიდური შემოსავალი გაუჩნდა.

ჩემს დროს, განაცხადა ბენგტსონმა, 40-50 ათასი დოლარი წლიური შემოსავალი სპორტსმენის ოცნების ზღვარი იყო.

## „სპორტპროგნოზი"

**მე-14 ტირაჟის შედეგები (7-8 აპრილი).**

1—1, 2—1, 3—1, 4—X, 5—2, 6—X, 7—1, 8—X, 9—X, 10—X, 11—1, 12—1, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მარცვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20    უე 08 779